პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры
и спорта при Совете Министров Грузинской ССР и
Грузинского республиканского Совета профсоюзов

კვირა
22 მარტი
1953 წ.
№ 24 (623)
ფასი 30 კაპ.

გამოცემის მე-9 წელი

პარტიისა და ხალხის მონოლითური ერთიანობა

საბჭოთა ხალხის მებრძოლი ავანგარდი და ხელმძღვანელი — მშობლიური კომუნისტური პარტია მშრომელი მასების სასიცოცხლო ინტერესების გამომხატველი და საიმედო, ერთგული დამცველია. დიდი ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი, აღზრდილი და გამოწრთობილი კომუნისტების პარტია არის სულ სხვა, ახალი ტიპის, შემოქმედებითი მარქსიზმის პარტია, რომლის მსგავსიც არ ახსოვს ისტორიას. მთელი მისი წარსული ეს არის ხალხისადმი უანგარო სამსახურის, სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის სახელოვანი ისტორია. ბურჟუაზიული პარტიებისაგან განსხვავებით, რომლებიც წარმოადგენენ მოტყუების, თვალის ახვევის, დემაგოგიური დაპირებების, ქვეყნისა და ხალხის ინტერესების უსინდისოდ გაყიდვის მაგალითებს, კომუნისტური პარტია არის სიმართლის, კრისტალური სიწმინდის. მონოლითური ერთიანობისა და სამშობლოს აყვავებისათვის დაუღალავი ბრძოლის პარტია.

არ არის იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე იყო ამ სახელოვანი პარტიის წევრი, ცხოვრობდე და მუშაობდე იმ ქვეყანაში, სადაც მუდამ გრძნობ პარტიის ბრძნულ წარმმართველ ხელს, მის რკინისებურ ნებისყოფასა და სიმტკიცეს, მის დაუღალავ ზრუნვას ადამიანებზე. ლენინის ცხედართან დადებულ ფიცში დიდმა სტალინმა აღნიშნა: „ჩვენ, კომუნისტები, განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ ისინი ვართ, რომლებიც შევადგენთ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება — ეკუთვნოდე ამ არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, როგორც პარტიის წევრის სახელწოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ამხანაგი ლენინი“.

ეს სიტყვები გამოხატავდნენ პარტიის ტიტანურ ძალასა და ძლიერებას, მის სიდიადესა და ერთგულებას მშრომელი ხალხისადმი, მის დაუშრეტელ შემოქმედებითს ენერგიასა და ნამდვილ კომუნისტურ გაქანებას. ჩვენი სამშობლოს შინაური და გარეშე მტრები მაშინ, ლენინის გარდაცვალების მძიმე დღეებში, ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ამით დასუსტდებოდა და მას ბოლო მოეღებოდა. მაგრამ მათი ვარაუდი ჩაიშალა ისევე, როგორც ჩაიშალა ჩვენი მტრების ყველა ბოროტი ვარაუდი და ზრახვები საბჭოთა კავშირის მიმართ. მათ, ჩვენდამი სიძულვილის გრძნობით დაბრმავებულებს, დაავიწყდათ, რომ ლენინმა დასტოვა მძლავრი პარტია — კომუნისტების პარტია, რომ მან აღზარდა სახელოვან ხელმძღვანელთა შესანიშნავი კადრები დიდი სტალინის მეთაურობით, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ და განაგრძეს ლენინის მიერ დაწყებული საქმე. მაშინ, ლენინის გლოვის დღეებში, პარტია და ხალხი კი არ დაიბნენ, არამედ უფრო გამაგრდნენ და გასალკლდევდნენ, უფრო მტკიცედ დაირაზმნენ დიდი სტალინის გარშემო.

ახლა, როცა ჩვენთან აღარ არის ლენინის საქმის გენიალური განმგრძობი, ჩვენი მამა და მასწავლებელი დიდი სტალინი, საბჭოთა ხალხი, როგორც არასდროს, უფრო შემჭიდროვდა მშობლიური კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ბრძენი სტალინის მიერ აღზრდილი და ბრძოლებში ნაცადი ხელმძღვანელების სახელოვანი კოჰორტის გარშემო. ჩვენს რიგებში ადგილი არ აქვს დაბნეულობასა და პანიკას, ვინაიდან საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან პარტიის ძალა, მისი მორალური სიმტკიცე და ერთიანობა, უსაზღვროდ სჯერათ და ენდობიან მას.

დიდი სტალინის იდეები მუდამ ცოცხლობს საბჭოთა ადამიანების გულებში, ისინი მუდამ გაგვინათებენ გზას კომუნიზმისაკენ. ამიტომ არის, რომ საბჭოთა ხალხი მეტი თავდადებით და ენერგიით იბრძვის სტალინური ხუთწლედის გრანდიოზული გეგმების პირნათლად განხორციელებისათვის, კომუნიზმის ასაგებად, რაც ჩვენი განსვენებული ბელადისათვის საუკეთესო ძეგლი იქნება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, ხოლო შემდგომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიის ისტორიული გადაწყვეტილებები მიმართული იყო იქითკენ, რომ გაუმჯობესებულიყო ხელმძღვანელობა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საქმიანობისადმი. ამით საბჭოთა ხალხი ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ პარტიისათვის უცხოა თავისი ნებისყოფის მოდუნება, რომ იგი მუდამ იქნება ლენინ — სტალინის დიადი იდეების ბოლომდე ერთგული და ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ძალისა და ნებისყოფის წარმმართველი ძალა. ამიტომ არის, რომ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს სამშობლოს კიდით-კიდემდე ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ. მიტინგებზე, კრებებზე გამოთქმულ სიტყვებში საბჭოთა ადამიანები გამოხატავდნენ თავიანთ ერთგულებას პარტიისადმი, მზადყოფნას შემდგომშიც განუხრელად იარონ პარტიის მიერ ნაჩვენები გზით, ამრავლონ წარმატებები საყვარელი სოციალისტური სახელმწიფოს სადიდებლად.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად საბჭოთა ფიზკულტურელებისა და სპორტსმენთა მრავალმილიონიანი არმია მზად არის მეტი ძალით და ენერგიით იშრომოს და იბრძოლოს, შემდგომშიც ასახელოს საყვარელი სამშობლო ახალ-ახალი მიღწევებით, მოიპოვოს სპორტული დიდების ახალი მწვერვალები.

საყვარელი კომუნისტური პარტიისა და ხალხის მონოლითური ერთიანობა ფოლადივით მტკიცე და ურყევია. ეს ერთიანობა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების საწინდარია.

მოკრივეთა საკავშირო ჩემპიონატი

17 მარტს, ივანოვოს სახელმწიფო ცირკის შენობაში, დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირადი პირველობის გათამაშება კრივში. ყოველ წონით კატეგორიაში მონაწილეობს რესპუბლიკების, ოლქებისა და ქალაქების წინასწარ შეჯიბრებებში გამარჯვებული 24 უძლიერესი მოკრივე.

ქ. ივანოვოში საბჭოთა კავშირის 1953 წლის ჩემპიონის წოდება თამაშდება უმჩატეს, ქვემსუბუქ, პირველ ქვესაშუალო, პირველ საშუალო და ქვემძიმე წონებში. დანარჩენ წონით კატეგორიებში შეხვედრები მოეწყობა მოსკოვში.

ასპარეზობის პირველ დღეს, ქვემსუბუქი წონის მოკრივემ გ. ხანუკაშვილმა (საქართველო) მოუგო შეხვედრა შკოლნიკოვს (რსფსრ). უმჩატესი წონის მოკრივემ საქართველოს წარმომადგენელმა რ. კალაჯევმა დაამარცხა აზერბაიჯანელი გ. ზახაროვი. ჩემპიონატის მეორე დღეს გ. ხანუკაშვილმა გაიმარჯვა მანუელოვთან (მოსკოვი) შეხვედრაში.

სსრ კავშირის პირველობა თხილამურებში

სვერდლოვსკში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა სათხილამურო სპორტში. ქალთა შორის 5 და 10 კილომეტრზე გამარჯვება მოიპოვა ლ. კოზირევამ (ლენინგრადი). ვაჟთა შორის პირველი ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: 10 კმ — თ. ტერენტიევი (მოსკოვი), 18 კმ — ვ. კუზინი (ლენინგრადი), 30 კმ — მ. პოტასოვი (მოსკოვი), 50 კმ — ა. ბორინი (რსფსრ). ქალთა ეშანათრბენში გაიმარჯვა ლენინგრადის, ხოლო ვაჟთა ეშანათრბენში — მოსკოვის გუნდმა.

გუნდური პირველი ადგილი დაისაკუთრეს მოსკოვის მოთხილამურეებმა, მეორე ადგილზეა რსფსრ-ს კოლექტივი.

ალმა-ატის მახლობლად გათამაშდა სსრ კავშირის პირველობა სამთო-სათხილამურო სპორტში. დიდ სლალომში პირველი ადგილები დაიკავეს რსფსრ-ს წარმომადგენლებმა მ. ბულატოვამ და ბ. ჩერტიშჩევმა. სლალომსა და სწრაფდაშვებაში ჩემპიონი: ოქროს მედლების მფლობელები გახდნენ მოსკოველები ე. სიდოროვა და ა. ფილატოვი. სამთო ორჭიდში (სწრაფდაშვება და სლალომი) გაიმარჯვეს ა. არტემენკომ (ყაზახეთი) და ბ. კუზნეცოვმა (ლენინგრადი).

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზეა მოსკოვის მოთხილამურეთა კოლექტივი.

• • •

სურათზე: ასპარეზობაში გამარჯვებული მოსკოვის მოთხილამურეთა პირველი გუნდი.

თასი ჰოკეიში

დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება შაიბიან ჰოკეიში, რომელშიც მონაწილეობდა საწარმოთა, დაწესებულებების, სასწავლებლებისა და სპორტსაზოგადოებათა ათასობით გუნდი. გათამაშება დაიწყო ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებს შორის, ხოლო ფინალურ ფაზაში შეჯიბრებაში ჩაებნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდები.

ფინალური შეხვედრა გაიმართა მოსკოვის „დინამოსა“ და საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდებს შორის. მატჩი ჩატარდა სწრაფ ტემპში. ორივე გუნდმა გამოამჟღავნა თამაშის მაღალი ტექნიკა და ტაქტიკა. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით, ანგარიშით 3:2.

გამარჯვებულ გუნდს გადაეცა საპატიო პრიზი — ვერცხლის თასი.

ი. ბ. სტალინის ხსოვნას

მეტი ერთსულოვნებით

უდიდესი მწუხარებითა და გულისტკივილით შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ცნობას ხალხთა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შესახებ.

საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის აუდიტორიები და დარბაზები ვერ იტევდა საყოველთაო გლოვის დღეებში სამგლოვიარო მიტინგზე მოსულთ. ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და თანამშრომლებმა ყურადღებით მოისმინეს ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომის დადგენილების შესახებ და 9 მარტს დიდი სტალინის დაკრძალვის დღეს საბჭოთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარის გ. მ. მალენკოვის და მისი პირველი მოადგილეების ლ. პ. ბერიას, ვ. მ. მოლოტოვის სიტყვები.

სიტყვით გამოსულმა პროფ. გ. თვალაძემ დამსწრეთ მოუწოდა კიდევ უფრო განამტკიცონ ერთიანობა, მეტი მონდომებით ემსახურონ დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა განხილვისადმი მიძღვნილ კრებაზე ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა მ. მაისურაძემ განაცხადა: აღარ გვყავს ლენინის უახლოესი თანამებრძოლი, ხალხთა დიდი ბელადი, ჩვენი მშობლიური ი. ბ. სტალინი. მაგრამ მან დაგვიტოვა კომუნიზმის მშენებლობის დიადი და ნათელი პროგრამა. დიდი ბელადის მიერ აღზრდილ და მრავალ ბრძოლებში გამოწრთობილ საბჭოთა ხალხს შესწევს უნარი წარმატებით განახორციელოს ეს გრანდიოზული პროგრამა. ჩვენი ვალია მჭიდროდ დავირაზმოთ პარტიის გარშემო, საბჭოთა კავშირის მთავრობის გარშემო.

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ამხ. ლ. ჩხაიძემ გამოთქვა საერთო მისწრაფება — უფრო მაღალ დონეზე აიყვანონ ინსტიტუტში სამეცნიერო მუშაობა, სტუდენტთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდა.

ახლა ინსტიტუტში 70 აგიტატორი ყოველდღიურად ატარებს საუბრებს თავიანთ მსმენელებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაცნობად. აგიტატორებმა, სპორტის ოსტატებმა ა. მეიფარიანმა, ბ. მელაძემ, ფრიადოსანმა სტუდენტმა ფ. რუსიშვილმა და სხვებმა თავიანთ სააგიტაციო უბნებში ფართოდ გაშალეს მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციისათვის.

მარქ

სამშობლოს სასახელოდ

ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა შორის უღრმესი მწუხარება გამოიწვია ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობრის, ხალხთა დიდი ბელადის, ბრძენი მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალებამ.

ამხანაგ სტალინის დაკრძალვის დღეს გამართულ მიტინგზე თბილისის „დინამოს“ ოსტატ-ფეხბურთელებმა ერთსულოვნად განაცხადეს:

— დიდი სტალინის უკვდავი სახელი, ბრძენი ბელადის გენიალური იდეები მუდამ იცოცხლებენ ჩვენში, აღგვაფრთოვანებენ კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისათვის.

გუნდის ფეხბურთელები დიდი მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილებებს.

გუნდის უფროსმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა გ. ანთაძემ და ვ პანიუკოვმა, სპორტის ოსტატებმა ნ. თოდრიამ, მ. ჯოჯუამ, კ. გოგნაძემ, ი. სარჯველაძემ ა. ჭკუასელმა და სხვებმა აიღეს ვალდებულებანი კიდევ უფრო აიმაღლონ სპორტული ოსტატობის დონე, პირობა დადეს სპორტში ახალი მიღწევებით ასახელონ სამშობლო.

ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობარი

საბჭოთა ხალხს, მთელი მსოფლიოს მშრომელებს თავს დაატყდათ უდიდესი უბედურება — შეწყდა გენიალური მოაზროვნის და სწავლულის, ყველა დროის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გულისცემა.

იოსებ ბესარიონის-ძე ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობარი იყო. იგი მუდამ მოუწოდებდა საბჭოთა ქვეყნის ფიზკულტურელებს და სპორტსმენებს ახალი, მაღალი წარმატებებისათვის ბრძოლისაკენ.

ძვირფასი მეგობრისა და მასწავლებლის გარდაცვალება ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურელებისათვის, ისევე როგორც მთელი ხალხისათვის, უდიდესი დანაკლისია. მაგრამ ჩვენ, დიდი სტალინის ურთგულეს შვილებს, მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი გაათკეცებული ენერგიით ვემსახუროთ საქმეს, რომელიც ასე უყვარდა დიდ სტალინს.

ლენინ — სტალინის პარტიის დიადი იდეებით შეიარაღებული საბჭოთა ქვეყნის სპორტსმენები ვდებთ პირობას დავიპყროთ მსოფლიოს სპორტული მიღწევების ყველა მწვერვალი. ენერგიულად ვიბრძოლოთ ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის.

ე. გოკიელი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.



სურათზე: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი სპორტსმენები ათვალიერებენ საქართველოს სახვითი ხელოვნების მუზეუმის იმ დარბაზს, სადაც გამოფენილი ექსპონატები ასახავენ დიდი სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ფოტო დ. აკობაშვილისა

სსრ კავშირის 1953 წლის ზამთრის პირველობა კალათბურთში

რიგაში დაიწყო სსრ კავშირის 1953 წლის ზამთრის პირველობის გათამაშება კალათბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდები. უძლიერესთა ჩემპიონატში დაშვებულია აგრეთვე სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები კოლექტივი, რომლის შემადგენლობაში არიან ო. ქორქია (გუნდის კაპიტანი), ი. კულამი, ხ. კრუსი, ს. ბუტაუტასი, კ. პეტკიავიჩუსი, ი. ლაგუნავიჩუსი, გ. სილინში, ა. კონევი, ვ. ვლასოვი, ა. მოისეევი, ი. ოზეროვი, ა. ალაჯაჯიანი. გუნდის მწვრთნელებია კ. ტრავინი და კულაკაუსკასი. ჩემპიონატში თურქმენეთის ვაჟთა გუნდის ნაცვლად გამოდის სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები.

აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრები გუნდი ქვეჯგუფის შეხვედრებში მონაწილეობს კონკურსში, ხოლო ფინალურ ჯგუფში — კონკურსს გარეშე. გუნდი, რომელიც უკეთეს შედეგს აჩვენებს ნაკრები გუნდის წინაალმდეგ თამაშში, ჯილდოვდება ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის I ხარისხის დიპლომით.

კენჭის ყრის შედეგად ქალთა შორის პირველ ქვეჯგუფში მოხვდნენ: 1. ტაჯიკეთის, 2. მოლდავეთის, 3. აზერბაიჯანის, 4. ლატვიის, 5. ლიტვის, 6. ბელორუსიის გუნდები; მეორე ქვეჯგუფში არიან: 1. მოსკოვის, 2. თურქმენეთის, 3. უზბეკეთის, 4. რსფსრ-ს, 5. საქართველოს, 6. უკრაინის კოლექტივები, მესამე ქვეჯგუფში: 1. კარელია-ფინეთის, 2. სომხეთის, 3. ესტონეთის, 4. ყაზახეთის, 5. ყირგიზეთის, 6. ლენინგრადის წარმომადგენლები.

ვაჟთა შორის პირველ ქვეჯგუფში მოხვდნენ: 1. ლიტვის, 2. აზერბაიჯანის, 3. სსრ კავშირის ნაკრები, 4. უზბეკეთის, 5. ტაჯიკეთის, 6. სომხეთის გუნდები; მეორე ქვეჯგუფში არიან: 1. რსფსრ-ს, 2. ბელორუსიის, 3. ლენინგრადის, 4. მოლდავეთის, 5. მოსკოვის, 6. საქართველოს კოლექტივები, მესამე ქვეჯგუფში — 1. კარელია-ფინეთის, 2. ესტონეთის, 3. ლატვიის, 4. უკრაინის, 5. სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების, 6. ყაზახეთის წარმომადგენლები.

შეჯიბრების პირველ დღეს საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა გუნდი შეხვდა რსფსრ-ს კოლექტივს. გუნდი მოედანზე გამოვიდა შემდეგი შემადგენლობით: ბახტურიძე, ჯორჯიკია, ქლენტი, კილაძე, ეგანოვი. შეხვედრა დაიწყო რსფსრ-ს კალათბურთელთა იერიშებით და მალე გახსნეს ანგარიში. თამაშის პირველ 8 წუთში ანგარიში მიყავთ რსფსრ-ს კალათბურთელებს. ამის შემდეგ ჯორჯიკიას და ქლენტის ოსტატურ ტყორცნებს საქართველოს კალათბურთელთა გუნდი გაყავს წინ. 28-ე წუთზე ანგარიშია 43:32. მალე მოწინააღმდეგემ ანგარიში მინიმალურ განსხვავებამდე დაიყვანა. მატჩის საბოლოო შედეგია 49:45 საქართველოს კალათბურთელთა გუნდის სასარგებლოდ.

დანარჩენი შეხვედრების ტექნიკური შედეგები ასეთია: ვაჟები — ესტონეთი-სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები — 89:44, ლენინგრადი-მოლდავეთი — 107:35, ყაზახეთი-კარელია-ფინეთი — 71:32, აზერბაიჯანი-ტაჯიკეთი — 70:36, მოსკოვი-ბელორუსია — 68:26, საბჭოთა კავშირის ნაკრები-უზბეკეთი — 94:31, ლიტვა-სომხეთი — 50:25, ლატვია-უკრაინა — 53:41; ქალები— ლენინგრადი-კარელია-ფინეთი — 132:20, ლიტვა-მოლდავეთი — 53:31, ბელორუსია-ტაჯიკეთი — 59:41, უზბეკეთი-რსფსრ — 44:43, ლატვია-აზერბაიჯანი — 67:34, მოსკოვი-უკრაინა — 48:36.

დღეს საქართველოს კალათბურთელთა კოლექტივი ხვდება ბელორუსიის გუნდს, 23 მარტს — მოსკოვის, ხოლო 25 მარტს — ლენინგრადის კალათბურთელებს.

ასპარეზობის პირველ დღეს საქართველოს კალათბურთელ ქალთა გუნდი ისვენებდა. გუშინ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები შეხვდნენ უზბეკეთის გუნდს. დღეს საქართველოს გუნდი ხვდება — რსფსრ-ს კოლექტივს, 23 მარტს — უკრაინის, 25 მარტს — მოსკოვის გუნდებს.

ვ. ჯაფარიძე,

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი.

სანაოსნო სადგური

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელმა ქარხანამ „თბილისის ზღვის“ პირას ააგო კეთილმოწყობილი სანაოსნო სადგური, რომელსაც აქვს 14 ნავი, მათ შორის სამი ნავი ძრავით იმუშავებს. ამჟამად სადგურის ტერიტორიაზე მიმდინარეობს გამწვანება, დაირგვება ორი ათასამდე ძირი ხე და ბუჩქი.

ქარხნის ფიზკულტურელები წარმატებით ემზადებიან ნაოსნობა-ცურვის სეზონის გახსნისათვის. ნიჩბოსნობის და ცურვის სექციაში გაერთიანებული ახალგაზრდები წარმატებით ეუფლებიან სპორტის ამ სახეობას.

ი. ნუცუბიძე

თბილისის ვაჟთა მე-20 საშუალო სკოლის ტანვარჯიშის სექციის მეცადინეობაზე. სურათზე: ზევით — ხუთოსანი მოსწავლე ლ. ჩანტლაძე ორძელზე ვარჯიშის დროს, ქვევით — ო. ამონაშვილი ვარჯიშობს ბჯენით ხტომაში.

შეჯიბრება ჭადრაკში

ამას წინათ მოეწყო შეჯიბრება ჭადრაკში „კომუნისტის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციებისა და „კომუნისტის“ გამომცემლობის სტამბის მოჭადრაკეთა შორის.

პირველი ადგილი მოიპოვეს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციის მოჭადრაკეებმა. მეორე ადგილზეა გაზეთ „კომუნისტის“ გუნდი. შეჯიბრებაში გამარჯვებული მოჭადრაკეები დაჯილდოებული იქნენ სიგელებით და ჭადრაკის კომპლექტებით.

საინფორმაციო ცნობა

1953 წლის 14 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებანი:

1. დაკმაყოფილებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. მ. მალენკოვის თხოვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

2. არჩეულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი, ს. დ. იგნატიევი.

3. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების 32-ე პარაგრაფის შესაბამისად ამხ ნ. ნ. შატალინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან გადაყვანილ იქნას წევრად.

შავი ზღვის სანაპიროზე

ფეხბურთელები ემზადებიან სეზონისათვის

ახლოვდება 1953 წლის საფეხბურთო სეზონი. როგორც ყოველთვის, ჩვენი ქვეყნის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებმა მიაშურეს შავი ზღვის სანაპიროს და არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად, გაცხოველებით ემზადებიან მომავალი ასპარეზობისათვის. სოჭში საგაზაფხულო საწვრთნელ ვარჯიშს გადიან მოსკოვის გუნდები: „სპარტაკი“, „ტორპედო“, ვვს-ი, „ლოკომოტივი“, აგრეთვე ხარკოვის „ლოკომოტივი“ და ვილნიუსის „სპარტაკი“, რომლებიც წელს პირველად ითამაშებენ „ა“ კლასში. იქვე ვარჯიშობენ „ბ“ ჯგუფის გუნდები „დაუგავა“ (რიგა), „შახტიორი“ (სტალინო), „კრასნოე ზნამია“ (ივანოვო) და მინსკის „დინამო“. გაგრას ტრადიციულად წელსაც ესტუმრნენ მოსკოვის დინამოელები.

გუდაუთაში ვარჯიშობს ლენინგრადის „ზენიტი“.

რამდენიმე დღის წინათ სოჭში ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს ვვს-მა და „შახტიორმა“, რომელიც დამთავრდა დონბასელ ფეხბურთელთა გამარჯვებით, ანგარიშით 2:1.

ლესელიძეში წვრთნას აწარმოებს თბილისის „დინამო“. ფეხბურთელები ყოველდღიურად 5-6 საათის განმავლობაში ვარჯიშობენ. ისინი იმაღლებენ ტაქტიკურ-ტექნიკური და ფიზიკური მომზადების დონეს, ატარებენ ორმხრივ თამაშებს.

15 მარტს გაიმართა ამხანაგური მატჩი თბილისის „დინამოს“ და სტალინოს „შახტიორს“ შორის. სტუმრები მოედანზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: ჩანოვი, კრივენკო, მარინკო, მოროზოვი, სამოილოვი, სოლდატჩენკო, ბობოშკო, სავინი, ფომინი, ფედოროვი, საფრონოვი (გუნდის უფროსი მწვრთნელია სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. პონომაროვი).

თბილისის „დინამოში“ გამოვიდნენ: კოტია, ელოშვილი, ძიაპშიპა, გოგლიძე, ანთაძე, ნ. გაგნიძე, ჯოჯუა, კ. გაგნიძე, მახარაძე, ღოღობერიძე და თოდრია. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0

სუხუმში ვარჯიშობს „ა“ კლასის დებიუტანტი — თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი. არმიელი ფეხბურთელები განსაკუთრებული მონდომებით ემზადებიან მომავალი საპასუხისმგებლო შეხვედრებისათვის. გუნდის უფროსი მწვრთნელი ნ. ჩხატარაშვილი და მწვრთნელი ი. ლობჟანიძე სისტემატურად ვარჯიშობენ ცალკეულ ფეხბურთელთან, ატარებენ ტაქტიკურ მეცადინეობებს. ფეხბურთელები ნორაკიძე, მათეოსიანი, ჩაიჩუკი, ავეტისოვი, კუბლაშვილი, პონომარენკო, სიხარულიძე და სხვები დაუღალავად, მონდომებით ითვისებენ ფეხბურთის რთულ ტექნიკას, აზუსტებენ კარში დარტყმას, თავით თამაშს, ბურთის გადაცემას.

მოსკოვის „დინამომ“ ჩაატარა ორი შეხვედრა: მატჩი „შახტიორთან“ დამთავრდა ფრედ — 1:1, ხოლო თამაში ვილნიუსის „სპარტაკთან“ დამთავრდა დედაქალაქის დინამოელთა გამარჯვებით, ანგარიშით — 3:2.

სოჭში ერთმანეთს შეხვდნენ ვვს-ი და მინსკის „დინამო“. გაიმარჯვეს მფრინავებმა — 5:0.

ამ დღეებში ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის კვლავ გაიმართება ამხანაგური მატჩები.

გ. ანთაძე,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი.

უხეში და სახიფათო თამაშის შესახებ ფეხბურთში

ფეხბურთი ატლეტური თამაშია, სადაც ბურთის დაუფლებისათვის ბრძოლაში დაშვებულია ფიზიკური ძალის გამოყენება. უდავოა, რომ ფიზიკური ძალის გამოყენება და ზემოქმედება მოწინააღმდეგეზე, თუნდაც თამაშის წესებით განსაზღვრულ ფარგლებში, არის თავისებური „უხეშობა“, ამიტომ ყველაზე ხშირად ამ ნიადაგზე ხდება გაუგებრობა მოთამაშეებსა და მსაჯებს შორის. აქედან გამომდინარე, გაუგებრობაში ვარდება მაყურებელიც.

ვთქვათ, ერთ შემთხვევაში ერთმა მოთამაშემ ძლიერად ჰკრა მეორეს, წააქცია იგი, მაგრამ მსაჯმა თამაში არ გააჩერა და საშუალება მისცა მოთამაშეს, რომელმაც წააქცია მოწინააღმდეგე, განეგრძო თამაში სხვა შემთხვევაში მოთამაშეთა სულ მცირე შეხებაც კი იწვევს მსაჯის დაუყოვნებლივ ნიშანს თამაშის შესაჩერებლად და საჯარიმო ან თავისუფალ გარტყმას. შევეცადოთ დეტალურად გავარჩიოთ რა მოხდა როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში.

ბურთისათვის უშუალო ბრძოლაში, მისი დაუფლების მიზნით „წითლების“ მოთამაშემ მხარი ჰკრა „ლურჯების“ მოთამაშეს, წააქცია იგი და დაიწყო მოწინააღმდეგე გუნდის კარის იერიში. მსაჯმა ეს მოქმედება სავსებით სამართლიანად არ ჩათვალა უხეშობად და არ გააჩერა თამაში. იგი ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა ფეხბურთის თამაშის წესების მე-12 პარაგრაფით, სადაც ნათქვამია, რომ სწორი თავდასხმა და კვრა ნებადართულია თუ, მსაჯის აზრით, ეს ხდება ბურთისათვის უშუალო ბრძოლის დროს, როცა მოთამაშეები ნამდვილად ცდილობენ დაეუფლონ ბურთს და მოთამაშემ მოწინააღმდეგეს ჰკრა არა იმ განზრახვით, რომ მისთვის ზიანი მიეყენებინა.

მეორე შემთხვევაში მსაჯმა გააჩერა თამაში და დანიშნა საჯარიმო გარტყმა. აქ მან განსაზღვრა, რომ ოდნავ შესამჩნევი შეხება მოხდა ხელით და თეძოთი, არა ბურთის დაუფლების მიზნით, არამედ იმიტომ, რომ ხელი შეეშალა მოწინააღმდეგისათვის ბურთის მიღებაში.

თავისთავად იგულისხმება, რომ მსაჯი ზედმიწევნით უნდა იყოს დარწმუნებული თავის გადაწყვეტილებაში, განსაკუთრებით საჯარიმო მოედანზე დაშვებული უხეში თამაშის დროს, როცა ინიშნება 11-მეტრიანი საჯარიმო გარტყმა. ამ შემთხვევაშიც, იმის გარკვევის უფლება, თუ „რა მოხდა“ ეკუთვნის მხოლოდ თამაშის ჩამტარებელ მსაჯს.

ზოგჯერ ხდება ასე — მოთამაშე გაიჭრა მოწინააღმდეგის კარისაკენ, შევიდა საჯარიმო მოედანზე, დარჩა მეკარესთან პირისპირ და ის იყო უნდა დაერტყა, რომ დამცველი გუნდის მოთამაშე ჩაუხტა მას ფეხებში და წაქცეულ მდგომარეობაში მოახერხა ბურთის უკუგდება, ხოლო თავდამსხმელმა წამოსდო ფეხი მცველს და წაიქცა. ამას მოსდევს ხოლმე მაყურებელთა უკმაყოფილო ხმაური, რომლებიც უმართებლოდ მოითხოვენ 11-მეტრიანი საჯარიმო გარტყმის დანიშვნას.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან მოთამაშეები, რომლებიც ბოროტად იყენებენ ასეთ შემთხვევებს და, ვითომ ტკივილით შეწუხებული, განზრახ კოტრიალებენ ბალახზე. ეს არის სიმულაცია, რომელსაც მიზნად აქვს მაყურებლებში თანაგრძნობის გამოწვევა.

არის შემთხვევები, როცა უხეშ თამაშს ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მაგრამ საჯარიმო მოედნის ფარგლებს გარეთ. აკრძალული ილეთით წაქცეული მოთამაშე ცდილობს „შეგორდეს“ საჯარიმო მოედანზე, რათა მოახდინოს 11-მეტრიანი საჯარიმოს ინსცენირება.

როცა ლაპარაკია უხეშ და სახიფათო თამაშზე, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ორ დამახასიათებელ მომენტს, რომლებიც შეიძლება ითქვას, ყველაზე ხშირად ხდება გაუგებრობის მიზეზად მსაჯებს, მოთამაშეებსა და მაყურებლებს შორის.

ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო უხეშობად ითვლება ე. წ. „დაფარება“, როცა მოთამაშის გამკვრელ ფეხს მოწინააღმდეგე ზევიდან განზრახ უხვედრებს თავის ფეხს. ამ უხეშობას ხშირად თან სდევს მძიმე ტრავმა და შეიძლება მოთამაშე დიდი ხნით გამოვიდეს მწყობრიდან. მსაჯები განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა ებრძოლონ ასეთ მოთამაშეებს.

მაგრამ ბურთის გაჩერება ლანჩით კარგი ტექნიკური საშუალებაა, რომელსაც ხშირად მიმართავენ ფეხბურთელები. მსაჯმა უნდა უშეცდომოდ განსაზღვროს ბურთის გაჩერებისათვის მიმართა ამ ხერხს მოთამაშემ, თუ უხეშად ითამაშა.

მსაჯებს, მოთამაშეებსა და მაყურებლებს შორის ხშირად იქმნება გაუგებრობა, იმ შემთხვევაში, როცა მოთამაშე ფეხით აპირებს მიიღოს მაღალი ბურთი, ხოლო მისი მოწინააღმდეგე თავით ცდილობს დაეუფლოს მას. მაღალი ბურთის ფეხით თამაში არის რთული ტექნიკური ილეთი, რის შესწავლასაც მწვრთნელები დიდ დროს და შრომას ანდომებენ. ოსტატურად შესრულებული გარტყმა მაღალ ბურთზე მეტად ეფექტურია და ლამაზი სანახავიცაა. მაგრამ ხშირად, როცა მის ფეხთან გამოჩნდება მოწინააღმდეგის თავიც, იქმნება უხეში თამაშის შთაბეჭდილება.

სინამდვილეში უხეშობას ადგილი არა ჰქონია. მოთამაშე ცდილობდა მაღალი ბურთის აღებას ფეხით, ხოლო მოწინააღმდეგემ გაუანგარიშებლად „შეუყენა“ მას თავი ფეხქვეშ. თუ ვინმეს უნდა დაედოს ბრალი, ისევ იმ მოთამაშეს, რომელმაც თავი შეუყენა ბურთს, მაშინ როცა მოწინააღმდეგე მას უკვე ეუფლებოდა ფეხით.

მსაჯისათვის ერთ-ერთი ყველაზე რთული მომენტია კუთხური გარტყმის გათამაშება. ჩვეულებრივ, მსაჯი და მაყურებელი უცქერენ მოწოდებულ ბურთს, რის დროსაც მცველი სარგებლობს მომენტით და მხარის ოდნავ შესამჩნევი ბიძგით წონასწორობიდან გამოჰყავს მოწინააღმდეგე გუნდის თავდამსხმელი. სახეზეა თამაშის წესების უხეში დარღვევა, რისთვისაც უნდა დაინიშნოს 11-მეტრიანი საჯარიმო.

ხდება ისეც, რომ არავითარ შებმას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ მცველმა თავისი ტანით მოხერხებულად გადაუკეტა თავდამსხმელს გზა ბურთისაკენ. ამ შემთხვევაში მსაჯმა უნდა გააჩეროს თამაში და დანიშნოს „თავისუფალი გარტყმა“ იმ ადგილიდან, სადაც მოხდა დარღვევა, ე. ი. თვით საჯარიმო მოედნის ფარგლებში. საერთოდ, მსაჯი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იყოს, როცა თამაშში ერევა მეკარე. მეკარეს ხშირად უხდება თავდამსხმელის ფეხებში ჩავარდნა, ან ბურთის აღება მოთამაშეთა დიდ ჯგუფში.

სახიფათო და უხეში თამაშის დროულად შემჩნევისა და ფიქსირებისათვის მსაჯი ყოველთვის უნდა ახლოს იმყოფებოდეს ბურთის გათამაშების ადგილიდან და თამაშისადმი მაქსიმალური ყურადღებით იყოს.

ს. რუდნევი,

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

კლემენტ გოტვალდის დაკრძალვა

პრაღა, 19 მარტი. (საქდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის ხალხი გამოეთხოვა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს და რესპუბლიკის პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდს.

მუშები, გლეხები, მოსამსახურეები, სტუდენტები, ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანები მიდიოდნენ პრაღის გრადის ესპანური დარბაზისაკენ, რომ უკანასკნელად დაენახათ თავიანთი მასწავლებლისა, და ბელადის ძვირფასი სახე.

• • •

ახლოვდება 13 საათი. ესპანურ დარბაზში შედიან მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ანტონინ ზაპოტოცკის მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, მთავრობათა დელეგაციები და კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები, რომელნიც უცხოეთიდან ჩამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდის დაკრძალვაზე. დარბაზში უკვე არიან ეროვნული კრების დეპუტატები, დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, კაპიტალისტური ქვეყნების დიპლომატიურ მისიათა წარმომადგენლები, რომელნიც თავიანთი მთავრობების ოფიციალური წარმომადგენლები არიან რესპუბლიკის პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდის დაკრძალვაზე.

13 საათია. ხუთი წუთით წყდება მთელი მოძრაობა და მუშაობა ჩეხოსლოვაკიაში. გაისმის ქარხნების, ფაბრიკებისა და ორთქლმავლების საყვირთა ხმა.

ესპანურ დარბაზში კლემენტ გოტვალდის კუბოს წინ პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვილემ შიროკი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის სახელით სამგლოვიარო სიტყვას ამბობს.

13 საათი და 25 წუთია. კლემენტ გოტვალდის თანამებრძოლნი — ანტონინ ზაპოტოცკი, ვილემ შიროკი, იარომირ დოლანსკი, ალექსი ჩეპიჩკა, კარელ ბაცილეკი; ვაცლავ კოპეცკი, ანტონინ ნოვოტნი და მთავრობათა დელეგაციის წევრები: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მარშალი ნ. ა. ბულგანინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ-ენ-ლაი, პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბოლესლავ ბერუტი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ცედენბალი ფრთხილად იღებენ კუბოს და გამოაქვთ ესპანური დარბაზიდან. კუბოს კლემენტ გოტვალდის ცხედრით დგამენ საარტილერიო ლაფეტზე და სამგლოვიარო პროცესია მიემართება ლეტნის მოედნისაკენ ხალხით გაჭედილი ქუჩებით. ლეტნის მოედანზე ჩამწკრივებულია ჯარის ნაწილები, სახალხო მილიციის ნაწილები იმისათვის, რომ უკანასკნელი პატივი სცენ ჩეხოსლოვაკიის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს, რესპუბლიკის პრეზიდენტს კლემენტ გოტვალდს. კუბოს პრეზიდენტის ცხედრით დგამენ ტრიბუნასთან, რომელსაც ჩაუარეს ჯარებმა.

შემდეგ სამგლოვიარო პროცესია მიემართება ვაცლავის მოედნისაკენ. ქუჩებში ასიათასობით ადამიანია, რომლებიც გამოეთხოვნენ თავის საყვარელ პრეზიდენტს.

ვაცლავის მოედანი. სამგლოვიარო პროცესია მიდის ეროვნული მუზეუმისაკენ. აქ კუბოს კლემენტ გოტვალდის ცხედრით იღებენ ლაფეტიდან და დგამენ მაღლობზე.

პრემიერ-მინისტრის მოადგილე ანტონინ ნოვოტნი ხსნის სამგლოვიარო მიტინგს.

პრემიერ-მინისტრი ანტონინ ზაპოტოცკი ამბობს სამგლოვიარო სიტყვას, რომელიც კლემენტ გოტვალდის ანდერძისადმი ჩეხოსლოვაკიის ხალხის ერთგულების ფიცია.

სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მარშალმა ნ. ა. ბულგანინმა.

გაისმის საარტილერიო სალუტის ზალპები. სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა. დახრილი დროშებით მანქანებით ჩაუარეს კუბოს ჯარებმა და უკანასკნელი პატივი სცეს თავიანთ უმაღლეს მთავარსარდალს, რესპუბლიკის პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდს.

კუბოს კლემენტ გოტვალდის ცხედრით კვლავ დგამენ საარტილერიო ლაფეტზე, და სამგლოვიარო პროცესია მიდის ეროვნული განთავისუფლების ძეგლ-მუზეუმისაკენ ვიტკოვის მთაზე, სადაც მავზოლეუმში მოთავსდება სარკოფაგი კლემენტ გოტვალდის ცხედრით.

19 საათი და 20 წუთია. სამხედრო ესკორტის გენერლები კუბოს კლემენტ გოტვალდის ცხედრით იღებენ ქვემეხის ლაფეტიდან და მთავრობის წევრების, უცხოეთის მთავრობათა დელეგაციების თანხლებით მიასვენებენ ეროვნული განთავისუფლების ძეგლ-მუზეუმში.

19 საათსა და 38 წუთზე კუბო კლემენტ გოტვალდის ცხედრით დადგმულია მავზოლეუმში. გაისმის „ინტერნაციონალი“, გრიალებს საარტილერიო სალუტის ზალპები.

ჩეხოსლოვაკიის ხალხი დიდად გლოვობს აუნაზღაურებელ დანაკლისს. იგი არასდროს არ დაივიწყებს თავისი სახელოვანი შვილისა და ჩეხოსლოვაკიის ბელადის — კლემენტ გოტვალდის სახელს, მჭიდროდ ირაზმება იმ დროშის გარშემო, რომელიც მაღლა ეპყრა კლემენტ გოტვალდს.

სპორტული დაოსტატების გზით

დედაქალაქის ქალთა III სპარტაკიადა

ორი წლის წინათ თბილისის კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების ინიციატივით ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში საბჭოთა სპორტის ისტორიაში პირველად მოეწყო ქალთა სპარტაკიადა. სპორტსმენ ქალთა ეს საინტერესო ასპარეზობა, რომელიც მას შემდეგ მყარ ტრადიციად იქცა, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სპორტსმენ ქალთა სპორტული ოსტატობის ზრდას, ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლინებას, ფიზკულტურულ მოძრაობაში ქალთა დიდი რაოდენობით ჩაბმას.

წლევანდელ, სათვალავით მესამე, სპარტაკიადაში, რომელიც 15 მარტს დაიწყო ქალაქის სპორტულ ბაზებზე, მონაწილეობს უმაღლესი სასწავლებლების, წარმოება-დაწესებულებების, სპორტსაზოგადოებათა 20 კოლექტივის 1.200-მდე წარმომადგენელი.

ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონის ზამთრის საცურაო აუზში ორი დღის განმავლობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მოცურავეები. შეჯიბრების პროგრამაში იყო ცურვა ნებისმიერი სტილით 100 და 200 მეტრზე და ამანათცურვა ნებისმიერი სტილით 4×50 მ.

დინამოელმა ი. სოროკინამ 100 მეტრი გასცურა 1:18,8 და დაიკავა პირველი ადგილი. მისი თანაკლუბელი კ. ალადიევა შედეგით 1:20,2 გამოვიდა მეორე ადგილზე. ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელმა ლ. ინოზემცევამ აჩვენა 1:28,1.

200 მეტრზე ცურვაში პირველი ადგილები ისევ ამ სამეულმა დაიკავა. საუკეთესო იყო ალადიევა — 2:58,6. სოროკინამ აჩვენა 3:14,5, ხოლო ინოზემცევამ — 3:18,0.

ამანათცურვაში ყველას აჯობეს „დინამოს“ მოცურავეებმა გ. ხოლოდმა, ლ. აბოვიანმა, კ. ალადიევამ და ი. სოროკინამ. გუნდმა ოთხი ეტაპის ჯამში აჩვენა 2:28,6. მეორე ადგილზე გამოვიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი — 3:02,8, მესამეზე — სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი — 3:03,2.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ჯგუფის გუნდებს შორის გამარჯვება მოიპოვეს ფიზკულტურის ტექნიკუმის სპორტსმენებმა. მომდევნო ადგილებზე არიან სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდები.

მეორე ჯგუფში უძლიერესი აღმოჩნდა „დინამო“. მეორე ადგილზეა „სპარტაკი“, ხოლო მესამეზე — „კრასნოე ზნამია“. სამმა მოცურავემ აჩვენა მეორე თანრიგის შედეგი, რვამ — მესამე თანრიგისა.

დამთავრდა შეჯიბრება ფარიკაობაში. პირველ ჯგუფში მონაწილე ქალთა შორის კარგი მომზადება გამოამჟღავნა უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ჯ. ზენაიშვილმა. მან დაიკავა პირველი ადგილი. ამავე გუნდის წევრი დ. ჩახლაძე გამოვიდა მეორე ადგილზე, ხოლო მესამეზე — ფიზკულტურის ინსტიტუტის მოფარიკავე ნ. ნაზარევა.

მეორე ჯგუფის მოფარიკავეთა შორის გამარჯვება მოიპოვა თ. მამალაძემ („კრასნოე ზნამია“). მომდევნო ადგილები დაიკავეს „ნაუკის“ წევრებმა ვ. მახარაძემ და ლ. ქიქილაშვილმა.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზკულტურის ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (პირველი ჯგუფი); „კრასნოე ზნამია“, „ნაუკა“, „დინამო“ (მეორე ჯგუფი).

ლენინის სახელობის სპორტდარბაზში მიმდინარეობს კალათბურთელთა შეჯიბრება. წინ მიდის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი. უნივერსიტეტის კალათბურთელებმა 18 მარტს მოიპოვეს მნიშვნელოვანი გამარჯვება თავის მთავარ მეტოქეზე — ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებზე — ანგარიშით — 37:22.

დაიწყო ფრენბურთელთა ასპარეზობაც. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელთა ძლიერმა კოლექტივმა დაამარცხა ფიზკულტურის ინსტიტუტისა და სამედიცინო ინსტიტუტის გუნდები. ორი გამარჯვება აქვს სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდსაც, რომელმაც დაამარცხა სამედიცინო ინსტიტუტის და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა დაამარცხეს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტისა და უცხო ენათა ინსტიტუტის კოლექტივები.

მეორე ჯგუფის გუნდებში „ლოკომოტივმა“ დაამარცხა — „კრასნოე ზნამია“, 26 კომისრის სახელობის რაიონის წარმომადგენლებმა — „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელთა კოლექტივი, „ტრუდმა“ — „მედიკი“, „პიშჩევიკმა“ — „სპარტაკი“.

მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში აღსანიშნავია უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდების შეხვედრა. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგიდის ჩოგბურთელთა კოლექტივმა დაძაბულ ბრძოლაში [illegible] დაგოგიური ინსტიტუტის გუნდი — 2:1. სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლებმა ადვილად სძლიეს სამედიცინო ინსტიტუტის მაგიდის ჩოგბურთელებს — 3:0.

ჭადრაკში პირველი დღის შეხვედრები ასეთი შედეგებით დამთავრდა: სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა ანგარიშით 5:0 მოუგო სამედიცინო ინსტიტუტის კოლექტივს, ფიზკულტურის ტექნიკუმის მოჭადრაკეებმა დაამარცხეს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდი — 3:2. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და რკინიგზის ინსტიტუტის მოჭადრაკეთა შეხვედრა დამთავრდა პირველთა გამარჯვებით, ანგარიშით 4:1.

მეორე ჯგუფში „სპარტაკმა“ მოუგო „ნეფტიანიკს“ (4:0), ხოლო „ნაუკამ“ „ბურევესტნიკს“ (4:0).

ქვეჯგუფებში შეჯიბრება უკვე დამთავრდა, პირველი ჯგუფის „ა“ ქვეჯგუფში პირველ ადგილზეა სპორტსაზოგადოება „ნაუკას“ მოჭადრაკე ქალები — (17 ქულა). „ბ“ ქვეჯგუფში კი პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს „პიშჩევიკის“ და „მედიკის“ მოჭადრაკეებმა (13 ქულა).

მეორე ჯგუფის „ა“ ქვეჯგუფში პირველ ადგილზეა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. „ბ“ ქვეჯგუფში კა სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო.

სურათზე: ზევით ნებისმიერი სტილით 200 მეტრზე ცურვაში გამარჯვებული კ. ალადიევა („დინამო“) დისტანციაზე. უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ჩოგბურთელი მ. ახვლედიანი თამაშის დროს.

ფოტო მ. ზარეკიძისა.

კინო

„საქართველოს სპორტსმენები“

ლენინის ორდენოსანმა თბილისის კინოსტუდიამ ეკრანზე გამოუშვა ორნაწილიანი ფერადი დოკუმენტალური ფილმი „საქართველოს სპორტსმენები“. სპორტის ერთი სახეობიდან მეორეზე მახვილგონიერი გადასვლები, სადაც კადრები მხატვრული მთლიანობით იშლებიან და ვითარდებიან, მაყურებელს ერთგვარ საშუალებას აძლევს წარმოიდგინოს სპორტის მრავალფეროვნება საქართველოში, სპორტსმენთა ნაყოფიერი მუშაობა საკუთარი ოსტატობის ასამაღლებლად, ახალი კადრების აღსაზრდელად.

... თბილისის ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ნორჩი ფეხბურთელები ასპარეზობენ. ბურთი ჰაერშია... მას თავით იღებს სპორტის დამსახურებული ოსტატი გიორგი ანთაძე. თბილისის კადრები მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გადაღებული კადრებით იცვლება.

სპორტსმენი გოგონა რკალით თავისუფალ ვარჯიშს ასრულებს. მან რკალი ხალიჩაზე გააგორა... რკალი კი ველოსიპედის თვალად გადაიქცა. გამოჩნდება თბილისის ველოტრეკი. სპორტის ოსტატი ოთარ დადუნაშვილი ბეტონის დაფერდებულ ბილიკებზე მიაქროლებს თავის მანქანას.

ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში მიმდინარეობს ლექცია ქართული სპორტის ისტორიაზე. ლექტორი სტუდენტებს აჩვენებს ხევსურულ ფარს. მან ფარი წინ, კიდევ წინ წამოსწია და მასზე დაშნაშ გაიელვა... ორი ჯმუხა ხევსური ერთმანეთს ერკინება. შემდეგ ხევსურული ფარიკაობა კლასიკურში გადადის...

მაყურებლის წინაშე ჩვენი სახელოვანი სპორტსმენებია: ნინო დუმბაძე, არსენ მეკოკიშვილი, ელენე გოკიელი, დავით ციმაკურიძე, მზია ჯუღელი, ოთარ ქორქია, ავთანდილ ლოლობერიძე, ლევან სანაძე, ნადეჟდა ხნიკინა და სხვები. ეკრანზე გამოჩნდნენ სპორტის ვეტერანები გ. ეგნატაშვილი, გ. რცხილაძე, ა. ბაქრაძე, გ. მერკვილაძე, გ. ბაბილოძე.

კლასიკურ სახეობებთან ერთად ნაჩვენებია ხალხური სპორტიც. კოლორიტულ ფერებშია მოცემული ქართული ჭიდაობა და ხევსურული ფარიკაობა.

კინო — ხელოვნების მნიშვნელოვანი დარგია. მისი საშუალებით ხდება ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი ცხოვრების მიტანა მოსახლეობის ფართო მასებთან. სპორტი, რომელიც ჩვენი ხალხის საყვარელ საქმედ იქცა, ფართო ადგილს უნდა პოულობდეს საბჭოთა ეკრანზე, საჭიროა სრულყოფილად აისახოს ჩვენი სპორტსმენებისა და ფიზკულტურელების საქმიანობა. აკმაყოფილებს თუ არა ამ მოთხოვნებს აღნიშნული ფილმი? პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ფილმის ავტორები დაკმაყოფილდნენ მხოლოდ რესპუბლიკის ცალკეულ სპორტსმენთა ცხოვრების სქემატური ჩვენებით. მათ ეკრანზე ვერ გამოიყვანეს გასულ წელს რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორიცაა ამიერკავკასიის სპორტსმენთა ტრადიციული სპარტაკიადა, ესტონეთისა და საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების ტრადიციული შეხვედრა და სხვ. ზემოაღნიშნულ ღონისძიებებს რომ ადგილი დათმობოდა, ფილმი გაცილებით ბევრს მოიგებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის, რაც ეკრანზეა ნაჩვენები, მხატვრული და ტექნიკური თვალსაზრისით მთლიანად როდია დამაკმაყოფილებელი. განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი ტანვარჯიშს. არც სადიქტორო ტექსტშია ყველაფერი რიგზე. მშრალად, არაზუსტად შედგენილ ტექსტში, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დამახინჯებულია სპორტსმენთა წოდებები. მაგალითად, ველოსიპედისტ გ. ძებნიაურს გვაცნობენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონად (?); მაყურებლისათვის გაუგებარია აგრეთვე რა მასშტაბის ჩემპიონია ტანმოვარჯიშე რ. შარაბიძე. ფილმში არაა ნაჩვენები სპორტის ისეთი პოპულარული სახეობები, როგორიცაა ჭადრაკი, ლელობურთი, ჩოგბურთი, ფრენბურთი, ნიჩბოსნობა. სამწუხაროა, აგრეთვე ისიც, რომ მათ ვერ შეძლეს შესაძლებლობის ფარგლებში გაეშუქებინათ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობა.

თბილისის ლენინის ორდენოსანმა კინოსტუდიამ აღნიშნული ფილმის გამოშვებით უთუოდ კარგი საქმე გააკეთა. მაგრამ სასურველია შემდგომში მან თავი დააღწიოს ზემოაღნიშნული ხასიათის ნაკლოვანებებს და მაყურებლებს მიაწოდოს საინტერესო მიმზიდველი კინონარკვევები საქართველოს სპორტსმენთა სისხლსავსე ცხოვრების შესახებ.

ა. მონიავა

• • •

კადრი ფილმიდან „საქართველოს სპორტსმენები“.

საქართველოს 1953 წლის ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში (მარცხნიდან მარჯვნივ) მ. ცალქალამანიძე, ა. მაისურაძე, ჯ. ჩლიქაძე, ნ. ნინიაშვილი, ვ. ვაჭარაძე, ა. ნინუა, ი. სალარაძე, ვ. ლაფაური.

◆ ◆ ◆

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებებში საწევრო შესატანების გადახდის ახალი წესი

საკავშირო პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს სამდივნომ მიიღო დადგენილება პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებებში საწევრო შესატანების გადახდის ოდენობისა და წესის შესახებ.

მიმდინარე წლის 1 აპრილიდან დადგენილია ყველა სპორტული საზოგადოებისათვის საწევრო შესატანების ერთიანი ოდენობა წელიწადში 3 მანეთის რაოდენობით. საზოგადოების წევრები ამ თანხას იხდიან ყოველწლიურად 1 იანვრიდან 1 მარტამდე. საწევრო შესატანების გადახდა აღინიშნება საწევრო ბილეთზე პროფკავშირების სპორტული საზოგადოებისათვის ერთიანი მარკის დაკვრით (ამ მარკის ნიმუშს ყოველი წლისათვის ამტკიცებს საკავშირო პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს სამდივნო). მარკის ყუა ჩაიკვრება ფიზკულტურელის სააღრიცხვო ბარათში. 1953 წლისათვის მარკის ნიმუში ნაჩვენებია სურათზე.



მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც საზოგადოებაში ახლად შედიან, საწევრო შესატანს მიმდინარე კალენდარული წლისათვის იხდიან შესვლის თარიღის მიუხედავად. საზოგადოებაში წევრად მიღებისას შესასვლელი შესატანი არ გადაიხდება. ახალშესულს საწევრო ბილეთი მიეცემა უფასოდ.

საწევრო შესატანების მოგროვება ეკისრებათ ფიზკულტურის ძირეული კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეებს და ფიზორგებს. საზოგადოების წევრებისაგან მიღებული შესატანები ბარდება პროფესიული ორგანიზაციების სალაროს მიღებიდან არა უგვიანეს სამი დღისა.

საწევრო შესატანების გადახდა წარმოებს საზოგადოების წევრთა ხელახალ რეგისტრაციასთან ერთად. ის პირები, რომლებიც ხელახალ რეგისტრაციას არ გაივლიან და საპატიო მიზეზის გარეშე შესატანს არ გადაიხდიან, ითვლებიან საზოგადოებიდან გასულად.

საწევრო შესატანების შეგროვებისათვის დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ადგენს ანგარიშს, რომელშიც აღნიშნავს საზოგადოების წევრთა ხელახალი რეგისტრაციისა და საწევრო შესატანებით მიღებული თანხის რაოდენობას. ანგარიშის ერთი ეგზემპლარი გამოუყენებელ მარკებთან ერთად ჩაბარდება საფაბრიკო ან საქარხნო ადგილკომს, მეორე კი გაეგზავნება საზოგადოების ზემდგომ საბჭოს. საფაბრიკო ან საქარხნო ადგილკომები წლის ბოლოს (არა უგვიანეს 1 დეკემბრისა) გამოუყენებელ მარკებს უბრუნებენ ზემდგომ პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

ასეთია საწევრო შესატანების გადახდის ახალი წესის ძირითადი დებულებები, რომლებიც დაამტკიცა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს სამდივნომ. საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ 1953 წლის აპრილ-დეკემბრისათვის საწევრო შესატანების გადახდის ვადად დადგენილია 1 აპრილიდან 31 მაისამდე. შესატანის თანხა 3 მანეთია.

მათი საყვარელი საქმე

მრავალი სპორტსმენი ქალი მეცადინეობს ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტულ სექციებში. ისინი გატაცებით ეუფლებიან მძლეოსნობას, ტანვარჯიშს, კალათბურთს, ფრენბურთს, ფარიკაობას და სპორტის სხვა სახეობებს. გულმოდგინე, სისტემატური ვარჯიშის შედეგად სტუდენტმა სპორტსმენებმა მნიშვნელოვნად აიმაღლეს ოსტატობა, წარმატებით გამოდიან საქალაქო შეჯიბრებებში.

მეორე კურსის სტუდენტები მედეა ყუფარაძე, ლუდმილა ოყროშიძე, გულნაზ სიხაშვილი და ვერა ვაშაკიძე წარჩინებით სწავლასთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ინსტიტუტის სპორტულ ცხოვრებაში. ისინი კალათბურთის გუნდის წამყვანი მოთამაშეები არიან. სპორტის ამავე სახეობაში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ მოპოვებული მესამე კურსის სტუდენტებს — სწავლის ფრიადოსნებს მერი ახრახაძეს, ცისანა ჯაფარიძეს, ასია კუპრაშვილს.

აქ დიდი პოპულარობით სარგებლობს საჭადრაკო სპორტი. ეწყობა მოხსენებები გამოჩენილ მოჭადრაკეთა შემოქმედების შესახებ, ახალგაზრდები არჩევენ და სწავლობენ ოსტატების საჭადრაკო პარტიებს, ეტიუდებს, ამოცანებს, მონაწილეობენ საქალაქო და საოლქო ჩემპიონატებში. ლილი რუხაძე, ზაირა ფოფხაძე და ლილი ქაჩიბაია საუკეთესო მოჭადრაკენი არიან. ლ. ქაჩიბაიამ მიმდინარე წლის იანვარში ქუთაისის ოლქის ინსტიტუტებისა და ტექნიკუმების მოჭადრაკეთა შეჯიბრებაზე პირველი ადგილი დაიკავა.

ჩინებულად ფლობენ ტანვარჯიშის რთულ ტექნიკას პირველთანრიგოსნები ქეთუნა დარსაველიძე, მარიამ თათეიშვილი, თინა ომანიძე და სხვები.

ქუთაისის პედინსტიტუტის სპორტსმენ ქალთა კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, კიდევ უფრო ნაყოფიერად წარმართოს მუშაობა, აიმაღლოს სპორტული ოსტატობა, თავისი რიგები შეავსოს ახალი წევრებით.

ი. ბუხაიძე

მსახიობი, მოჭიდავე, ველოსიპედისტი

„გიმნაზიელი მოჭიდავე“ — ასე ეძახდნენ მას. ტანწერწეტა, ულვაშებაგრეხილი გრუზა ჭაბუკი სახალხო დღეობების ხშირი და სასიხარულო სტუმარი იყო. გაშლილ სუფრას ვაჟკაცურად მოუჯდებოდა და მისი ტკბილი ლირიკული ტენორი სმენას ატკბობდა, ხოლო თუ ზურნას დაუკრავდნენ და წრეში მოჭიდავენი გამოჩნდებოდნენ, მას უკვე სიმღერისათვის აღარ ეცალა, თავის ამქრებიანად გული სარბიელისაკენ მიუწევდა, ჩოხას მოირგებდა, წრეში გადახტებოდა და გამართული მისვლით მეტოქეს შეებმებოდა.

ეს ახალგაზრდა ჩვენი ცნობილი მომღერალი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლადო კავსაძე იყო. საქართველოს ვოკალური ხელოვნების ვეტერანს, რომელსაც 33 კლასიკურ და ორიგინალურ ოპერასა და 60 ოპერეტაში წამყვანი როლები შეუსრულებია და არ დარჩენია რუსეთისა და საქართველოს არც ერთი კუთხე, სადაც მის საესტრადო სიმღერებს მსმენელი არ დაეტკბოს, მდიდარი სპორტული წარსული აქვს.

იგი პატარაობიდანვე დაეწაფა სპორტს. პირველ ხანებში განსაკუთრებით იტაცებდა ჭიდაობა. ფიზიკურად განვითარებული აღნაგობა, ბავშვობიდანვე გამომუშავებული სისწრაფე, მოქნილობა, ხელს უწყობდა მას სარბიელზე ასპარეზობისას სახელი გაეთქვა, მეტოქენი დაეჯაბნა.

იქ, სადაც ახლა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ შენობაა, წინათ მოთავსებული იყო ე. წ. ნიკიტინის ცირკი. აქ რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან მოჭიდავენი ჩამოდიოდნენ და ადგილობრივ ფალავნებთან მართავდნენ სანახაობას. ლადო თბილისელების საყვარელი მოჭიდავე იყო. იგი ერთნაირი სიძლიერით ჭიდაობდა ფრანგულსა (ახლა კლასიკური) და ქართულს. მან ცხარე ბრძოლის შემდეგ შესანიშნავი ფანდით დაამარცხა ცნობილი ფალავანი ქიზიყელი აბულაძე და ბევრი სხვაც. ჭიდაობასთან ერთად იგი წარმატებით გამოდიოდა მისი ძმის მიხეილის და ბიძის სანდრო კავსაძის მომღერალთა გუნდებში.

ჩვენ აქ განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ლადო კავსაძის, როგორც ველოსიპედისტის შესახებ.

„ველოსპორტი მაშინ ახალი ამბავი იყო, — გვიამბობს ლადო კავსაძე. — გვქონდა ველოტრეკიც მიწის ვირაჟებით. ველოსიპედები კი მთელ ქალაქში თითო-ოროლას თუ ჰქონდა. ჩემი თანაკლასელის სკორცინსკის რჩევით, რომელსაც კარგი ფირმის ველოსიპედი გააჩნდა, დავიწყე მეცადინეობა. ჩემთან ერთად წვრთნას გადიოდნენ გაბრიელოვი, ლომიძე, კუბარევი, გოზალოვი, სვანელი და სხვები. სულ რაღაც ორიოდე კვირის შემდეგ ყველას ვაჯობე და მალე თბილისში ცნობილი ველოსიპედისტი გავხდი. წარმატებამ გამახალისა და ენერგიულ წვრთნას განვაგრძობდი. ამ დროს ოდესიდან ჩამოვიდნენ ცნობილი ველოსიპედისტები სლავოროსოვი და სედოვი. სამ ვერსზე რბოლაში (ველოტრეკის 12 წრეს უდრიდა) ორივე დავამარცხე. შემდეგ თბილისს ეწვივნენ პეტერბურგელი ველოსიპედისტები პეტროვი და ფიშერი. მათთან შეჯიბრებაშიც თბილისელთა გამამხნევებელი შეძახილებისა და ტაშის გრიალში პირველმა გადავჭერი ფინიშის ხაზი“.

ლადო კავსაძის სპორტულ ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უტოჩკინთან შეხვედრას. უტოჩკინი იყო მსოფლიოში ცნობილი ველოსიპედისტი, მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოსულა გამარჯვებული. ამას გარდა იგი იყო მოკრივეც, მძლეოსანიც, მფრინავიც, როდესაც მას თბილისში ჩამოსვლაზე დაუწყეს ლაპარაკი, თურმე გაოცებულა და ასე განუცხადებია, — ვინ უნდა გამიწიოს იქ წინააღმდეგობაო.

უტოჩკინის თბილისში ჩამოსვლას საზოგადოებრიობა მოუთმენლად მოელოდა. შეჯიბრების დღეს ველოტრეკი ხალხით გაივსო. სტარტზე დადგა მსოფლიოში ცნობილი უტოჩკინი და ცხრამეტი წლის ჭაბუკი ლადო კავსაძე. დაიწყო რბოლა. უტოჩკინი, როგორც მას სჩვეოდა, უკან აედევნა ლადოს მანქანას. იგი დარწმუნებული იყო თავის ძალაში, ამიტომ ენერგიას იზოგავდა. ველოსიპედისტებმა უკვე მეექვსე წრე განვლეს, მეშვიდეც. მერვე წრე რომ დაიწყეს, უტოჩკინმა წინ გავარდნა მოინდომა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ლადო მიუხვდა გამოცდილ მეტოქეს, დაასწრო... შურდულივით გაქანდა წინ. უტოჩკინს, რომელსაც წვრილსალტეებიანი მანქანა ჰქონდა, მიწის ვირაჟებზე უძნელდებოდა რბოლა.

— მიდი, ლადო! არ გაუშვა! დაგეწია!... ისმოდა შეძახილები ტრიბუნებიდან. ხალხი ფეხზე იდგა. ლადო კი მანქანის პედალებზე შემდგარი მიჰქროდა ვირაჟებზე. მეცხრე, მეათე მეთერთმეტე. მეთორმეტე წრე... ფინიში! ლადომ გაიმარჯვა. რამდენიმე დღის შემდეგ ისინი მეორედ შეხვდნენ. ლადო მანქანიდან გადმოვარდა და დაშავდა. გამოჯანმრთელების შემდეგ კიდევ გაიმართა შეჯიბრება. ამჯერად მეტოქეებმა ფინიში ერთად გადაჭრეს.

ამ შეხვედრის შემდეგ ლადო და უტოჩკინი დამეგობრდნენ. უტოჩკინის რეკომენდაციით კავსაძე მიიწვიეს პეტერბურგში. იქ მიხაილოვის მანეჟზე იმართებოდა ველორბოლა. კავსაძე და უტოჩკინი რუსეთის სახელით გამოდიოდნენ და ზედიზედ იმარჯვებდნენ მსოფლიოში განთქმულ ველოსიპედისტებზე. ინგლისის ჩემპიონს ჯიმსს, იტალიის ჩემპიონს კარა პეტცსს, ამერიკის ჩემპიონს გესპადს და სხვებს არა ერთხელ უგემიათ მათგან მწარე დამარცხება.

1908 წელს პეტერბურგში მოეწყო სპორტსმენ მამაკაცთა აღნაგობის კონკურსი. ჟიურიში იყვნენ ამ დროისათვის ცნობილი მხატვრები, მოქანდაკეები, ექიმები. ბევრი მოჭიდავე, ტანმოვარჯიშე დადგა ჟიურის წინ... ბოლოს მათი არჩევანი მოჭიდავე მიასოედოვზე შეჩერდა. ჯილდოს მიცემას აპირებდნენ, მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ არ მოელოდა. ჟიურის წინ წარსდგა ლადო. ჟიური მოხიბლა შავგვრემანი, კოკობულვაშებიანი ვაჟკაცის მარმარილოსაგან გამოთლილმა ტანმა, გამოკვეთილმა კუნთებმა, გაშლილმა მხარბეჭმა, ლარივით სწორმა ფეხებმა. დიდხანს უყურებდნენ ქართველი ვაჟკაცის უნაკლო ტანს და ბოლოს ერთხმად პირველი ჯილდო ლადოს მიანიჭეს.

პეტერბურგიდან ლადო თბილისში აღარ დაბრუნებულა. მოსკოვში გზად გამოვლისას ოპერეტაში მიიწვიეს მომღერლად. არც აქ დაანება სპორტს თავი. წარმატებით მღეროდა წამყვან პარტიებს და ცირკის სარბიელზეც გამოდიოდა. მას სპორტული წარმატებებისათვის ოცზე მეტი ჟეტონი აქვს მიღებული.

ამ შესანიშნავი მომღერლისა და სპორტსმენის ბიოგრაფიას ავსებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი — მხატვრულ კინოფილმებში მონაწილეობა. მან სრულყოფილი სახეები შექმნა ფილმებში „ხანუმა“, „ქრიმხალი“, „ორი მეგობარი“, „იბრაგიმ და გოდერძი“.

ლადო კავსაძე, რომელსაც შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენები უმშვენებს მკერდს, ამჟამად თბილისის სახელმწიფო ცირკის დირექტორია და ყოველმხრივ ხელს უწყობს საბჭოთა საცირკო ხელოვნების აღმავლობას.

— მახლას! დავბერდი, — იტყვის ხოლმე ძია ლადო, როგორც მას მეგობრები უწოდებენ. — დავბერდი... — სინანულით იმეორებს იგი, როდესაც სარბიელზე მონავარდე ფალავნებს უყურებს. მაგრამ ეს სინანული წუთიერია. მის თვალებში კვლავ ახალგაზრდული ცეცხლი იელვებს. ახალგაზრდობაში მიღებულმა ფიზიკურმა წრთობამ თავისი გაიტანა. ხანშესულობამ ვერ გატეხა მომღერალი, მოჭიდავე და ველოსიპედისტი. იგი კვლავ მხნედ გრძნობს თავს და მზად არის ჩვეული ენერგიით ემსახუროს სამშობლოს.

ა. გორდელი

• • •

სურათზე: (წრეში) ლადო კავსაძე. ლ. კავსაძე ახალგაზრდობაში.

საჭიროა მეტი მონდომება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ფიზკულტურის ძირეული კოლექტივი სულ ორი წელია რაც არსებობს. მუშაობის დასაწყისში კოლექტივის საბჭომ მთელი ყურადღება ფიზკულტურული კოლექტივის განმტკიცებას მიაპყრო, აკადემიის ინსტიტუტებში გამოიყო ფიზორგები, შეიქმნა ფრენბურთის, ჩოგბურთის, მაგიდის ჩოგბურთისა და ჭადრაკის სექციები. მოეწყო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მომზადდა მშ. პირველი საფეხურის 9 ნიშნოსანი. სისტემატურად გამოდის კედლის გაზეთი „მეცნიერება და სპორტი“, რომელშიც შუქდება აკადემიის ფიზკულტურული ცხოვრების სხვადასხვა საკითხი.

ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომლებსა და ასპირანტებთან ერთად უფროსი თაობის ბევრი მეცნიერიც ჩაება სექციების მუშაობაში. პროფ. დ. თავხელიძე, რ. დვალი, ნ. ძიძიშვილი და სხვები წარმატებით გამოდიოდნენ შეჯიბრებაში და იცავდნენ აკადემიის სპორტულ სახელს.

გაწეული მუშაობის მიუხედავად, აკადემიის ფიზკულტურის საბჭოს თავის მუშაობაში მაინც ბევრი ნაკლოვანება გააჩნია. ძირითადი ნაკლი ისაა, რომ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და ასპირანტთა დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ არაა მასობრივად ჩაბმული ფიზკულტურულ სექციებში. აკადემიის კომკავშირის კომიტეტმა საჭიროა მეტი დახმარება გაუწიოს საბჭოს ამ საპასუხისმგებლო საქმის განხორციელებაში.

აკადემიაში ყოველგვარი პირობა არსებობს ალპინიზმის, მძლეოსნობის, ცურვის, სროლისა და სხვა სექციების შესაქმნელად. აქ მუშაობს და სწავლობს არა ერთი ალპინისტი, მოცურავე, მსროლელი. საჭიროა მეტი მონდომება და უნარის გამოჩენა, მათი ჩაბმა სექციებში, რაც სპორტულ მუშაობას საგრძნობლად გააცხოველებს და უფრო საინტერესოს გახდის.

გ. ლომინაძე.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორისა — 3-64-92, პ/მ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე-02332